სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	ბათუმის „ბათუმი“ - სტეფანწმინდას „ყაზბეგი“		
გუნდი	სტეფანწმინდას „ყაზბეგი“	შეჯიბრი	დიდი 10
მატჩის თარიღი	26/01/2024	მატჩის ადგილი	ბათუმი
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი	მწვრთნელი	დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	ოთარ ბარკალაია		
☒მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება	მატჩის მსაჯი, საბა მახარაძე მატჩის კიდის მსაჯი, გელა ლემონჯავა	დარღვევა	☐ აღიარებულია ☒ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია – **8.18** „არამართებული ქცევა“ გულისხმობს მომხდარ ნებისმიერ ქცევას, განცხადებას და/ან ქმედებას სათამაშო სივრცეში ან მის მიღმა, რომელიმე კონკრეტულ თამაშთან კავშირში ან კავშირის გარეშე, რომელიც: არასპორტულია, თაღლითურია, არღვევს არსებულ წესებს, უდისციპლინობის გამოვლინებაა და/ან ზიანს აყენებს რაგბს, სრკ-ს და მის რომელიმე სტრუქტურას, სრკ-ს წევრ სუბიექტებს და სრკ-ს სტრუქტურების საქმიანობაში ჩართული ნებისმიერი პირების და/ან რაგბის კომერციული პარტნიორების და/ან მატჩის ოფიციალურ პირთა და/ან სადისციპლინო პერსონალის რეპუტაციას.	☐ **წითელი ბარათი** ☒ **საითინგი** ☐ **სხვა** თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	30/01/2024	**განხილვის ადგილი**	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა		
დამრღვევის დასწრება	☒ **კი** ☐ **არა**	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მსაჯის, საბა მახარაძის საითინგი; მატჩის კიდის მსაჯის, გელა ლემონჯავას საითინგი;		

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მსაჯის, საბა მახარაძის საითინგი;
2. მატჩის კიდის მსაჯის, გელა ლემონჯავას საითინგი;
3. მატჩის მეთვალყურის, გია რევიშვილის სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი;

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა.

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

სტეფანწმინდას „ყაზბეგი“-ს მწვრთნელი ოთარ ბარკალაია, კატეგორიულად არ დაეთანხმა მატჩის ოფიციალური პირების საითინგებში აღნიშნულ დარღვევას, მისთვის გაუგებარია რისთვის უჩვენა მსაჯმა მას წითელი ბარათი. ოთარ ბარკალაიას განცხადებით მას არ გაუპროტესტებია მსაჯების გადაწყვეტილებები და არ მიუმართავს მათთვის საითინგებში აღნიშნული რეპლიკებით - **„რას უყურებთ ბიჭო თქვენ მთელი თამაშია“ და „ეს მსაჯი ხო ვერ მოვიშორე“.** მისი განცხადებით, ის მხოლოდ მითითებებს აძლევდა ტრიბუნიდან თავის მოთამაშეებს.

ფაქტობრივი მოცემულობა და მსჯელობა

1. 26/01/2024 გაიმართა დიდი ათის XII ტურის მატჩი ბათუმის „ბათუმი“-სა და სტეფანწმინდას „ყაზბეგს“ შორის.
2. მატჩის მსაჯის, საბა მახარაძის საითინგის მიხედვით (ციტირება) - თამაშის განმავლობაში „ყაზბეგის“ მწვრთნელის ოთარ ბარკალაიას მხრიდან ხდებოდა აპელირება სამსაჯო გადაწყვეტილებებზე, რასაც გამოხატავდა ხმამაღლა, ყვირილით და აგრესიული ტონით. რადგან თვითონ იმყოფებოდა ტრიბუნებზე, ვერ მივიღე შესაბამისი ზომები, რომ

დროულად მიმეცა გაფრთხილება. თამაშის ბოლო მონაკვეთში, გადმოინაცვლა ტექნიკურ ზონაში და ერთერთ მომენტზე ძალიან აგრესიული ტონით და ხელების გაშლით დაიყვირა ჩემს გადაწყვეტილებაზე: „რას უყურებთ ბიჭო თქვენ მთელი თამაშია“ რაზეც ჩემმა თანამსაჯმა გელა ლემონჯავამ, გამაჩერებინა თამაში და ოთარ ბარკალაიამ მიიღო წითელი ბარათი. ბარათის მიღების შემდეგ არ ტოვებდა მოედანს და მომმართავდა ისევ აგრესიული ფორმით, რის გამოც მის მოთამაშეებს და სტაფის წევრებს მოუწიათ მისი მოედნიდან გაყვანა. გასვლის შემდეგ ჰქონდა რეპლიკები: „ეს ვერ მოვიშორე“.

3. მატჩის კიდის მსაჯის, გელა ლემონჯავას საითინგის მიხედვით (ციტირება) - თამაშის მიწურულს, ოთარ ბარკალაია იდგა ტექნიკურ ზონაში, მოედანზე და ერთ-ერთ მომენტზე საკმაოდ აგრესიული ტონით და ხელების შლით დაიყვირა მსაჯის გადაწყვეტილებაზე: „რას უყურებთ ბიჭო თქვენ მთელი თამაშია“ რაზე მთავარ მსაჯს, გავაჩერებინე თამაში და მოვახსენე ყოველივე. ოთარ ბარკალაიამ მიიღო წითელი ბარათი. ბარათის მიღების შემდეგ არ ტოვებდა მოედანს და აგრძელებდა აგრესიული ტონით მიმართვას, ისევ აგრესიული ფორმით, რის გამოც მის მოთამაშეებს და სტაფის წევრებს მოუწიათ მისი მოედნიდან გაყვანა. გასვლის შემდეგ ჰქონდა რეპლიკები: „ეს მსაჯი ხო ვერ მოვიშორე“.
4. მატჩის მეთვალყურის, გია რევიშვილის სატელეფონო გამოკითხვის მიხედვით - სტეფანწმიდას „ყაზბეგი“-ს მწვრთნელი ოთარ ბარკალაია თამაშის დროს აპელირებდა მსაჯების გადაწყვეტილებებზე. მისი განცხადებით, მან ვერ გაიგო ოთარ ბარკალაიას მიერ გამოყენებული რეპლიკები რადგან იმყოფებოდა მოშორებით, თუმცა ო. ბარკალაის ჟესტიკულაციის მიხედვით ის ეკამათებოდა მსაჯებს. მას შემდეგ რაც მსაჯმა უჩვენა ო.ბარკალაიას წითელი ბარათი, მან (გია რევიშვილმა) მოსთხოვა ო.ბარკალაიას დაეტოვებინა სათამაშო პერიმეტრი, რაზეც ო.ბარკალაია შეეკამათა მას -„სათამაშო პერიმეტრში ყოფნის აკრძალვა სადისციპლინო კომისიის გადასაწყვეტია“. განმეორებითი მოთხოვნის შემდეგ ო.ბარკალაია „ყაზბეგი“-ს წარმომადგენლებმა გაიყვანეს სათამაშო პერიმეტრიდან.

მსჯელობა

1. სადისციპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობების და მხარეთა მოსმენის და მსჯელობის შემდეგ დადგენილად ცნო სტეფანწმინდას „ყაზბეგი“-ს მწვრთნელის, ოთარ ბარკალაიას მხრიდან სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 8.18 პუნქტის დარღვევა.
2. სადისციპლინო კომისიამ მხედველობაში მიიღო ოთარ ბარკალაიას სადისციპლინო ისტორია, კერძოდ რომ, ო. ბარკალაია 2023-2024 წლის სათამაშო სეზონის განმავლობაში ორჯერ იქნა სანქცირებული - 12.10.2023-ში სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილებით ო.ბარკალაიას მიეცა გაფრთხილება მატჩის ოფიციალური პირების გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირების გამო, ხოლო 08/11/2023-ში, ანალოგიური დარღვევისთვის, სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილებით ო.ბარკალაია დისკვალიფიცირებული იქნა 2(ორი) კვირით ხოლო კლუბი სტეფანწმინდას „ყაზბეგს“ დაეკისრა ფულადი ჯარიმა 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით.

გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	☒ მიღებულია	☐ უარყოფილია	☐ სხვა (აღწერეთ)

სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი) **სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 6.1 ა) - ე)**	5(ხუთი) კვირა/თამაში	☐ **წითელი ბარათი საკმარისია**
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	31/01/2024	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი.	09/03/2024 (დიდი 10-ს საშეჯიბრო ცხრილის მიხედვით)	
ფულადი ჯარიმა და გადახდის ვადა. **სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 9.4. ბ)**	**კლუბ სტეფანწმინდას „ყაზბეგს“ დაეკისროს ფულადი ჯარიმა 500(ხუთასი) ლარის ოდენობით. ფულადი ჯარიმის გადახდის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 2 მარტამდე.** შენიშვნა: სრკ-ს სადისციპლინო რეგგულაციის 13.8 პუნქტის მიხედვით - სადისციპლინო კომისიის მიერ დაკისრებული ფულადი ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ვალდებულ მხარეს ეძლევა გაფრთხილება და მიეცემა დამატებითი 10 (ათი) კალენდარული დღე ვალდებულების შესასრულებლად. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, ჯარიმის გადაუხდელობის ყოველ კვირაზე გუნდს დააკლდება 1 (ერთი) საცხრილო ქულა. ჯარიმის გადახდის ვალდებულება ყველა შემთხვევაში რჩება ძალაში.	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	სტეფანწმინდას „ყაზბეგი“-ს მწვრთნელს, ოთარ ბარკალაიას, დისკვალიფიკაციის პერიოდში ეკრძალება სრკ-ს მიერ ორგანიზებული დიდი 10-ს შეჯიბრში, სტეფანწმინდას „ყაზბეგი“-ს თამაშებზე სათამაშო **სივრცეში*** ყოფნა. ***სათამაშო სივრცე** - არენა/სტადიონი, მის ტერიტორიაზე არსებული შენობა ნაგებობები და სათამაშო მოედნები, სადაც იმართება სრკ-ს მიერ ორგანიზებული ნებისმიერი დონის შეჯიბრება.	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	31/01/2024

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება** [საპელაციო-კომისიის-დებულება.pdf (rugby.ge)]